ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნახ. ზ. ფურცხაძისა

წლეულს ღმერთმან სიმრგვლე ცისა ჩვენთვის რისხვით
წამოგრაგნა —
თავს დაატყდა ქართულ მიწას დიდთოვლობა, ზვავი,
წარღვნა!..

საქართველოვ, ნაწამებო, გასაჭირში მარტო არ ხარ!
ჭირსა შიგან გამაგრება უმთავრესი არის ახლა!
მხნე იყავნ და განძლიერდი საბჭოეთის ყველა ხალხთან!

ნიანგი

4

თებერვალი
1987

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ყრუვ გიორგის სალაღობო კაფია ასი წლის აკაკი შანიძეს

მე აკაკისად მინდარის ერთი კაფიის ბარება:
სამზეოელებს გჭირდებათ საიქიოელთ კვალება!
მე-დ შენ რო თვალივს ვლექსობდით, იმას რა
შეედარება?
ისივ ჯობნილა, ძმობამა, მზე-ქვეყანაზე ტარება!
მოვსტყუვდი თავმოსაკვდავი, ან მე რა მამაჩქარებდა?!

სამზეო-საიქიოს გზას კაც ერთ მუქარას უნდება,
მაგრამ არ მამწონ მაინცა მე აქაური სჯულდება,
კაცი აქ რორცა მუალის, მანდისაკ ვერ მაბრუნდება, —
მანდით ფეხ არ მაიცვალო, სანამ მზე არ მოგძულდება!

ვინაც მანდ ვერ მაიხდინეთ, სუყველა აქა ჰხირია,
აქ არი ფოთოლაშვილი, ქალების ქალმის ძირია,
ძაუგით ზიდავს სიმინდსა, არა აქვ ფქვილის ხრილია,
ქუმსით ნადირაც აქ არის ე ცალთვალგამოთხრილია,
ისევ წოწანსავ უხედნებს, ნდობა ვერ გამაილია!..

თქვენფერა ერის მოძღვართა სიცოცხლე გმართებსთ
ხანგრძელი,
ღმერთმანი, თქვენ რო წამოხვალთ, ხელად არ ნახონ
შამცვლელი!
გრიგოლიც აჩქარებულა, მერჩულის გმირი, ხანძთელი, —
ერთ ასიც უნდა ეცოცხლა, რა არი ორი-დ სამ წელი?
აქ ყრილობაზე სამ ვნახე, თმა ესხა, როგორც სანთელი
(მე ცოტა შამაგვიანდა, ბეწუკლიშვილთან დავთვერი),
პრეზიდიუმში მსხდარიყვნენ ეგ, რუსთველი და შავთელი,
დიდ იაკობიც იქა ჩნდა, „შუშანიკაის“ დამწერი!..

სიზმარში გნახე, აკაკო, მათუსალასთან მიჰყვანდი,
ღმერთმ ამისრულოს სიზმარი, ღმერთმა გაცოცხლოს
იქამდი!

ჩაიწერა ალექსი ჭინჭარაულმა

მეგობრული შარჟი თამაზ გოგოლაძისა

## სწორად ცხოვრების 13 მცნება

● ისუნთქე სწორად — თანაც ნუ გააჭუჭყიანებ ატმოსფეროს, სადაც სუნთქავ!

● იკვებე სწორად — ნუ შესწირავ სიცოცხლეს ზედმეტ ჭამა-სმას და არამ ლუკმას!

● იარე სწორად — უკუღმართი სიარული უკუღმართ გზაზე გაგიყვანს და გაგრიყავს!

● დაჯექი სწორად — ... შენი ზომისა და უნარის შესაფერის ს...მ, თორემ, ერთხელ იქნება, ჩამოვარდები და კისერს მოიტეხ!

● იმუშავე სწორად — წუნის მკეთებელი, ადრე თუ გვიან, თვითონვე წუნს გამყვება!

● დაისვენე სწორად — გონივრული დასვენება ლონიერი შრომისა და ხალისიანი ცხოვრების საწინდარია.

● აუწონე, გადაუზომე, გადაახდევინე, აუნაზღაურე სწორად, რომ სამაგიერო სწორად მოგეგოს!

● ნიშანი დაუწერე სწორად — ნუ ჩაიდენ ძნელად გამოსასწორებელ ცოდვას მომავალი მოქალაქისა და საზოგადოების წინაშე: დაკლება პირველს ვნებს, წამატება კი — მეორეს, მისი და შენი ჩათვლით!

● აღრიცხე, დაიანგარიშე, შეაჯამე სწორად — უსაფუძვლოდ გაბერილი ბუშტი მალე იჩუტება!

● მიუსაჯე სწორად — თორემ, როცა იქნება, თვითონ მოგისჯიან სწორად!

● განსაჯე, დააფასე, დააწინაურე, დააქვეითე სწორად — და საქმეც სწორად წარიმართება!

● ყველგან, ყველასთან, ყოველთვის მოიქეცი სწორად და იგივე მოითხოვე სხვებისგანაც — ათასჯერ უფრო საპატიოა საკუთარი სისუსტეების მოკრძალებული მბრძანებელი იყო, ვიდრე ქვენა გრძნობების უბადრუკი მონა! პირველი გმირობაა, მეორე კი — მისი სარითმო სიტყვა!

● დრომ სწორად გადაწყვიტა: შეცდომას — გასწორება, შეცოდებას — შრომა-გასწორება, გამოუსწორებელს — მიწასთან გასწორება!

მცნებები სხვადასხვა უტყუარი წყაროდან ამოკრიბა
აპოლონ ბასილაიამ

ნახ. ი. ყეინაშვილისა



უსიტყვოდ




# ჰაერსიტყვა

ეს სასწორი რამ არია,
რად გაურბის პინას პინა?!
ჰაერსიტყვამ გადამრია,
გეში ველარ მაპოვნინა!

რომ გგონია, მიადგა და
საქმეს გული მიალია,
გეკარგება უმალ მადა —
თურმე სიტყვის ფრიალია!

ხან მარშით და ხან დემარშით
დალმა უხმობს ალმაფრენას,
სიტყვას აგდებს ქვასანაყში,
ურახუნებს მერე ენას!

მოჩუხჩუხებს (და შენც
ისმენ)
ალმასსიტყვა, სიტყვაზოდი!..
ის რომ ჰაერს აპობს, ისე
შენ შეშას ვერ დააპობდი!

სად ეძებს რო, რა იპოვოს,
მსმენელს ზარ-ზეიმით
ზაფრავს,
ჰაერსიტყვით? კი, ბატონო,
თუნდაც ულრანს
გამოკაფავს!

გვათვლევინა ქვები რიყის
(სათითაოდ მოგვიმწყვდია!),
მოსავალი გრძელი სიტყვის
წელსაც უხვად მოიწია!..

. . .

გაბმით ჰყვება, როგორც
სტვირი,
არ დუმდება ეს ღვთის
გლახა!
ჰაერსიტყვით დასეტყვილი
ნეტავ საქმე არ გვანახა!

ზაზა კაციაშვილი



კონდრატე უბილავა

## წუნის გასაღებად

ხდებოდა ეს ასეთნაირად:

ვეზირივით ამაყი და შეუვალი სახის აუქციონისტი გონგზე ჩაქუჩს ურტყამდა და აცხადებდა:

— იჩქარეთ სანახავად! იყიდება თბილისის პირველი მაისის სახელობის ფაბრიკის გამოშვებული მამაკაცის შარვალი! თავდაპირველი ფასი — ორმოცდათოთხმეტი მანეთი! ვინ იძლევა მეტს, მაპატიეთ, ნაკლებს?

სიმპათიური გარეგნობის ქალიშვილმა ზემოხსენებული სამკერვალო ხელოვნების ნაწარმი შეკრებილთა წინაშე გამოაფინა და იმავ წამს დარბაზს გაუგებრობისა თუ გაოცების ჩურჩულმა გადაურბინა.

— ასე ვილა კერავს, გენაცვალე?! — გულფიცხად წამოიყვირა შავულვაშა კაცმა და თან დაიზიზღა შემოთავაზებული საქონელი, — ერთი თანაბარი ნაკერი არსად უჩანს.

— დაე, ეგ შარვალი თვითონ დირექტორმა ჩაიცვას! — მხარი დაუჭირა ვიღაცამ, — იქნებ მას სხვადასხვა სიგრძის ფეხები აქვს?

— ორმოცდათოთხმეტი მანეთი კი არა, ორმოცდათოთხმეტი კაპიკი რომ ღირდეს, ნამდვილად დამშვენდებოდა! — წამოიძახა ახლა სხვამ.

აუქციონისტმა აუღელვებლად შემართა ჩაქუჩი.

— ორმოცდათოთხმეტი კაპიკი — ერთი!.. ორმოცდათოთხმეტი კაპიკი — ორი!.. ორმოცდათოთხმეტი კაპიკი — სამი!.. — დარბაზში გაისმა გონგის ნაზი ჟღარუნი — გაყიდულია!.. „ბედნიერს“ მაშინვე სთავაზობენ შენაძენს, ხოლო ამ პროდუქციის მეორე ეგზემპლარი შეკრებილთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით საქართველოს დედაქალაქში არცთუ დიდი ხნის წინათ გახსნილ წუნის მუზეუმს ეგზავნება.

სადემონსტრაციო ფიცარნაგზე გამოჩნდა მახინჯ პალტოში გამოწყობილი მემანეკენე ქალი.

— იჩქარეთ სანახავად! იყიდება ქალის პალტო, ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის ოსტატწუნისმკეთებელთა ნახელავი! — სადღეგრძელოსავით საზეიმოდ წარმოთქვამს აუქციონისტი, — ფაბრიკის დირექტორს გულნარა შენგელაიას მიაჩნია, რომ იგი ას ორმოცდაერთი მანეთი ღირს! ვინ არ არის თანახმა?.. ვინ იძლევა ნაკლებს?..

აუქციონი გრძელდება.

სავაჭროდ გამოაქვთ მამაკაცის ზედა პერანგები, რომლებიც არ შეესაბამება მათ ეტიკეტებზე აღნიშნულ ზომებს, მოზრდილთა ქურთუკები, რომელთა სახელოებში ქორფა ბავშვიც კი ვერ ჩაატევს მკლავს, ტრიკოტაჟის ნაწარმი, რომელიც აშკარა ხალტურის ნიშნებს ამჟღავნებს...

აუქციონის წამყვანი ქალიშვილის სიგნალზე სადემონსტრაციოდ გამოაქვთ ზუგდიდის ფაიფურის კომბინატის ნაწარმი, ჩაის დასაყენებელი ჩაიდნები, რომელთა სარქველები ან შიგ ვარდება, ან ვერ ეხურება მათთვის განკუთვნილ ჭურჭლის პირს, დაბრეცილი თეფშები, ლამბაქები...

— იჩქარეთ სანახავად, მაგრამ ნუ იჩქარებთ, უარი თქვათ მათ შეძენაზე — აფრთხილებს დამსწრეთ აუქციონისტი, — თუკი არ გსურთ ამ კომბინატის თეფშებით დაამშვენოთ თქვენი საზეიმო სუფრა, მაშინ ისინი შეგიძლიათ გამოიყენოთ სროლაში შეჯიბრებისათვის! მაშ ასე, იყიდება თეფშების დუჟინი ზუგდიდიდან! ვინ იძლევა ნაკლებს?..

აუქციონის სტენდზე გამოაქვთ თბილისის ფეხსაცმელების გაერთიანება „ისნის“ გამოშვებული ყელიანი ფეხსაცმელები.

— ისნური ფეხსაცმელები კორძების სავარჯიშოდ თუ ივარგებს, — ხუმრობს შეკრებილთაგან ერთი.

— ისნური კი არა, ესპანური! — გაეპასუხა მეორე, — იყო ასეთი „ესპანური ჩექმები“, რომელთაც შუა საუკუნეებში ინკვიზიტორები საწამებლად იყენებდნენ!

ეს არცთუ ღირსეული ვაჭრობა ფეხსაცმელების გაერთიანება „ისნის“ დირექტორმა ა. ჭანტურიამ შეწყვიტა. მან თქვა:

— მრცხვენია, რომ ამ აუქციონზე ვიმყოფები! მრცხვენია იმისაც, რომ ჩვენი გაერთიანების საქონელი აქ „იყიდება“! ამას ხომ მთელი საქართველო ტელევიზიით უყურებს!

დიახ, ამ აუქციონს მთელი საქართველო ესწრებოდა, რადგან მე გიამბეთ ახალი სატელევიზიო გადაცემის შესახებ, რომელიც მოაწყო საქართველოს ტელევიზიის სახალხო მეურნეობის განყოფილებამ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შესანიშნავი გადაცემა თავისი არსით „კროკოდილის“ რეკლამის“ უმცროსი და იქნება, იგი წუნის შემცირებაში დაგვეხმარება.

თბილისელი ტელეჟურნალისტები კარგ საქმეს აკეთებენ. მეტად სასარგებლო იქნება, თუ ეს გამოცდილება ქვეყნის სხვა ტელესტუდიებშიც გავრცელდება.

ქ. თბილისი.

ჟურნალი „კროკოდილი“, №36, 1986 წ.

# შავი ხიზილალა — შავ ბაზარზე

ფელეტონი

— ეს სამოცდათოთხმეტი კილო ხრამული აქეთ დავაწყოთ, ჩემო სეირან! მართალია, კილო 8 მანეთი კი დაგვიჯდა, მაგრამ არაფერია!.. ჩვენ ოც მანეთს კაპიკს არ დავაკლებთ!

— ზუთხი და ხიზილალა რამდენია?

— ზუთხი — ოთხმოცდასამი კილო, შავი ხიზილალა — ხუთი კილო და ორასი!

— ჰოდა, კილო ზუთხის ფასი ოცდახუთი მანეთი იქნება, ხიზილალისა კი — ას ორმოცი.

— ისე, მე თუ მკითხავ, ამაზე მეტის ყიდვა არც არის საჭირო! ჯერ ეს გავასაღოთ და მერე ვინ გვიშლის?! მუშტარს ვერ ვიშოვით თუ?..

ეს დიალოგი **საქართველოს სატრანსპორტო-საექსპლუატაციო კანტორის მუშას გიორგი აკოფაშვილსა** და **სარემონტო სამშენებლო სამმართველოს მუშას სეირან ავალიანს** შორის **გიორგი აკოფაშვილის** სარდაფში გაიმართა, სადაც თევზის მოსაშენებლად აუზიც კი ჰქონდათ მოწყობილი.

მალე პირველი მუშტარიც გამოჩნდა — **იოსებ როსტიაშვილი**.

— თქვენთან მომასწავლეს!.. ოთხი კილო ხრამული, ხუთი კილო ზუთხი და ნახევარი კილო შავი ხიზილალა მჭირდება!

— ახლავე მოგართმევთ!

— სანამ **სეირანი** თევზეულს აწონიდა, **გიორგი აკოფაშვილმა** საანგარიშო მოიმარჯვა და ისე ოსტატურად გამოჰკრა თითები, კარგ ბუღალტერსაც შეშურდებოდა.

**— ოთხი კილო ხრამული — ოთხმოცი მანეთი, ხუთი კილო ზუთხი — ას ოცდახუთი და ეხეც ხიზილალა — სამოცდაათი მანეთი, სულ ორას სამოცდათხუთმეტისა იქნება, რა!..**

**იოსებმა** ისე ჩაუთვალა ეს ფული, თითქოს სხვისი ჯიბიდან იხდიდა. არადა, არც ისე ცოტა გადაახდევინეს.

ამის შემდეგ ახლა **გიორგი შარაშენიძეს** მიჰყიდეს **ხუთი კილო ხრამული ას მანეთად.**

ასე ვაჭრობდნენ საკუთარ დუქანში „მტკიცედ დადგენილი“ საკუთარი ფასებით და მუშტარიც არ აკლდათ. მაგრამ ერთ არცთუ მშვენიერ დღეს უკუღმა დატრიალდა მათთვის საათიც და ბედის ბორბალიც: ისეთი „მუშტრები“ ეწვივნენ, რაც თევზეული ჰქონდათ, სულ უფასოდ წაიღეს, თანაც ამასაც არ დასჯერდნენ — „გამყიდველებიც“ ისეთ ადგილას წაიყვანეს, თავისუფლად შეეძლოთ ეანგარიშათ, თუ როგორ დაკარგეს **2618 მანეთი, რომელიც მთელი მათი თევზეულის გაყიდვის შემდეგ „ნაღდ მოგებად“ უნდა დარჩენოდათ!..**

როცა ისიც ჰკითხეს, ამდენი თევზეული რად გინდოდათ, ზედმეტ ფასებში რატომ ყიდიდითო, — ორივემ ერთხმად უარყო სპეკულაციის ფაქტი: — რას ბრძანებთ, ჩვენთვის ვიყიდეთ, ქორწილისთვის, მაგრამ ცოტა მეტი მოგვივიდა და თავის ფასში დავუთმეთ ნაცნობებსო!

სულ უცნობებს რომ არ ენდობოდნენ და თავის ფასშიც რომ არავის არაფერს მისცემდნენ, ეს ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ როცა გამომძიებლებმა ისიც დაადგინეს, რომ თურმე საკუთარი მეთევზეც ჰყავდათ, ვინმე **ბიწკინაშვილი**, რომელსაც ხშირად მიჰქონდა **გიორგი აკოფაშვილთან** ხრამული კილო **რვა მანეთად,** მაშინ კი უთხრეს: — ფიცი გვწამს, ბოლო გვაქვირვებსო! ამის შემდეგ აღარც ის გაჰკვირვებიათ, მათ **ბინაში ორი სამედიცინო სასწორიც რომ იპოვეს:** შავ ბაზარზე ხიზილალა მაინც უნდა აეწონათ ზუსტად!..

**თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომაც სულ მისხალ-მისხალ აწონა მათი დანაშაულის სიმძიმე და შვიდ-შვიდი წლით გაისტუმრა შავი ბაზრიდან გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში ქონების კონფისკაციით!**

**ლილი მაისურაძე-მორგოშია**

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— პატივცემულო დირექტორო, გთხოვთ მიმიღოთ სამუშაოზე!
— სამუშაოზე მიღება კადრების საქმეა!
— თქვენ ოღონდ მიმიღეთ და კადრებით ყველაფერს ვიკადრებ!



— ბატონო ექიმო, თქვენ რომ ოპერაცია გამიკეთეთ, მაწუხებს!..
— არ ვიცი, გენაცვალე, მალე ინვენტარიზაციას ჩაატარებენ და, თუ რამე ინსტრუმენტი დაგვაკლდა, მაშინ ჩაგვრჩენია შიგ!

# კაკა ჭიძინაშვილი

## სატირულ-ირონიული ლირიკა

### ჩემი უფყების უფროსი

ვიცნობდი. იყო სულელი,
მუდამ ნატრობდა სკამს,
ყველას მოუგო დუელი,
ახლა უფროსად მყავს!

თავის სიმღერა დაიწყო,
სხვას აღარ უგდებს ყურს,
კუჭი ოქროთი გაიძღო,
ჩემთვის კი პურიც შურს!..

ვაზის ნაცვლად გადირია
შაქარი და ჭარხალი!..
„აგარიონს“ ეძახიან,
ღვინო ვიცი ახალი!

ემტერება ვენახს სეტყვა,
მეგობრებო, ასე რომ,
შეასრულეთ ჩემი სიტყვა:
ვაზი გადავაშენოთ!

### კაცობას ვერსად იყიდი!..

ეგ არის შენი „დიდება“,
— ყველა კაცს უთხრა „ქიში!“
სიცოცხლე მიტომ გჭირდება,
სიკვდილი ნახო სხვისი!

ვიცოდი, ამ გზით ივლიდი,
ხეს შეაჭრიდი ტოტებს!
კაცობას ვერსად იყიდი,
კაცობა უნდა გქონდეს!

### ხარბი კაცი

შუა ტყეში როგორც დათვი,
ან წისქვილში მემინდე,
წყალში იდგა ხარბი კაცი,
წყალს ნატრობდა მთელი დღე!..

ხელთ ეჭირა ნატვრისთვალი,
ჭამდა მეფურ პურ-მარილს!
წყალში იდგა ის საწყალი,
მაინც მოკვდა მწყურვალი!

### ვაი-სტუდენტი

უდაბლესი გაგებით
უმაღლესში „სწავლობს“,
უყვარს ამხანაგები,
მამის მარნით წამლობს.

მისი ჯიბის ფულია
მამა, დედა, ბიძა...
აღარ უყვარს სრულიად
სოფელი და მიწა!..



### შინაბერა

აცხადებდა: „ფიქრი მინდა,
რატომ გავყვე მე სულიკოს?!“
იარა და იქ მივიდა,
სადაც უნდა მისულიყო.

შეესია თეთრი ფერი,
ყველაფერი „დააზუსტა“,
აღარც დარდობს, აღარც მღერის,
ოღონდ თავს გრძნობს ძალზე
სუსტად!..

### ალკოჰოლიკს

დღეს ის წყარო დამშრალია,
შენ რომ სვამდი უჭიქოდ!
სამშობლოსთვის არ გცალია,
დარჩენილხარ უჯიგროდ!..

ხარ ნამდვილი მანიაკი,
ყინულივით ცივდები,
შამპანურის, კონიაკის
ბოთლებს აღარ სცილდები!

### ყანწი ვნახე!..

სირცხვილისგან ვერც კი ვამხელ,
ახლაც მესხმის იგი რეტი:
ერთ ადგილას ყანწი ვნახე,
ერთნახევარ მეტრზე მეტი!..

დამიფასეს! — იგი ღირდა
ათას ხუთას ოცდა-.. კენტი!
მიქელ-გაბრიელი იჯდა
ყანწში შემართული კეტით!..



### რა კარგი ბიჭი იყავი!..

რა კარგი ბიჭი იყავი,
რა ლამაზი და კეთილი!
ტოლთაგან გაურიყავი,
წიგნებთან გამოკეტილი!

გაბრუებული ბოჰემით
ფერი საოცრად გეცვლება,
დანაღმული ხარ ბოღმებით,
ფეხიდან მიწა გეცლება!..

ეშმაკმა საით გაქუსლა,
სად გაგიტაცა ჭკვიანი?
ეგ ცოდვა ზიდოს ბახუსმა —
მოგვეტაცა ადამიანი!

### ლოთის აღსარება

არ მოვყვები თავის ქებას,
ჩამხრჩვალი ვარ ღვინოში!..
ჩვენში ჭიქის მიჯახებას,
მითხარ, აბა, ვინ მოშლის?!

ღვინო მიდგას ალბათ ტანში
სისხლის ნაცვლად, მგონია!
დალიე და დაჰკარ ტაში,
სიკვდილამდე შორია!

### ვაი, ასეთის ბრალი!

მოკვდა. არავინ იტირა,
ცრემლი არავინ ღვარა.
გული არავინ იტკინა,
არვინ ინანა, არა!..

მოკვდა, წავიდა, წაიღო
გადაუხდელი ვალი.
ვინ იყო, ვერვინ გაიგო-
ვაი, ასეთის ბრალი!..





რევაზ ასაევი

## სარკემ რა დააშავა?

მეავე სახე!..
გამოხედვა კუშტი!..
შეხედა და ჩაეცინა მწარედ!..
ლოთმა სარკე დაამტვრია მუშტით,
თითქოს სარკემ დაუშავა რამე!..

## რატომ სვამ ამდენს?

— რა დაგემართა?
რატომ სვამ ამდენს?!
— შეყვარებულმა გამცვალა სხვაში!
— მართლა?!
შე კაცო, დაასხი მაშინ,
მეც მიწილადე
ეგ შენი დარდი!..

## ექიმის პასუხი

— ჭამის წინ ასი გრამი არაყი
მართლა კარგია, ექიმო, ნეტავ?
— არა, არ გაწყენს, ძმაო, არაფერს,
ოღონდაც
თვეში თუ ერთხელ შეჭამ!

## საერთო ენა

— აღარ ვსვამ,
მაგრამ ხალხთანაც უკვე
ველარ ვპოულობ საერთო ენას.
— დუმილი გიჯობს,
მაგ შენი ენით
ბევრჯერ იწვნიე ხალხისგან წყენა!

## მთვრალი დგას ტრამვაის გაჩერებასთან

— რას ელოდები, ჩემო ძამია?
— რას და, ტრამვაის,
სახლში მიცდიან!
— რისი ტრამვაი?!
შუაღამეა!
— მა, ეს რელსები
რის მაქნისია?!

## ცოლა

გამტყვრალა ცოლა,
ძლივს მოირწევა,
ბოძს ჩაეჭიდა,
ჩაიკრა მკერდში!..
— ხელს ვერ გავუშვებ,
წამოიქცევა! —
ბუტბუტებს ცოლა,
ოხრავს და ხვნეშის!



ლეონიდ ხარებათი

## ერთ ჩემს ნაცნობს

„ეზოში ავი ძაღლია!“ — ჭიშკარზე ვნახე წარწერა.
ძაღლის არ შემშინებია, შენ გამახსენდი ამჯერად! —
დაბმით ვერავინ დაგაბამს, სიავის ქსლისა
მბეჭველო,
მაგრამ ასეთი წარწერა შუბლზე შენც უნდა
გეწეროს!

## დათვი

არაკი

ერთ დღეს ტყისმცველად დანიშნეს დათვი.
— „ფიცსა ვდებ“, — გულზე დაიდო თათი, —
„ტყეს საზიანოდ ხელს ვერვინ ახლებს! —
ახსოვდეს ყველას — ძველებს თუ ახლებს!“
მყისვე დამყარდა რიგი და წესი,
ჩიტიც კი, ჩიტიც, ტყისმცველის შიშით,
ველარ ბედავდა შეფრენას ტყეში
და მხეც-ნადირთა მოდგმა და ჯიში
მოწყენით იჯდა ბუნაგთა ჩრდილში!..
დათვს საამაყო სხვა რაღა ჰქონდა? —
ტყიდან ნაფოტიც არვის გაჰქონდა!
თვითონ კი რასაც წააწყდებოდა,
ჭამდა, ძღებოდა, ჭამდა, ძღებოდა!..
ისე გასუქდა, ვინღა იცნობდა? —
დათვური ჩოხა დაუვიწროვდა,



მუცელი მაინც არ მოასვენა,
ტანზე „ლაიკის“ ქურქი ჩაიცვა,
მერე ბუნაგში დაჯდა, დაწერა
შრომა: „ტყე როგორ უნდა დავიცვათ“.
წიგნი გამოსცა იმავე თვეში,
ყველა ნადირი შეკრიბა ტყეში,
ჩამოურიგა წიგნები — „ყველამ
დაიზეპირეთ!“ — უბრძანა ხვნეშით.
თან გაქონილ დრუნჩს იწმენდდა თათით,
ყველა ხის ძირში ხარკის ამკრები.
ფ ი ნ ა ლ ი: მალე ტყისმცველი დათვი
წინ გაიმძღვარეს მცველის თანხლებით!

## კვიცი და...

ერთად სახლობდნენ კვიცი, ბეწვებმოოქროვილი
და შავი ვირი. არ ეთქმოდათ ერთურთზე ძვირი.
— „კვიცს რაღად უნდა სხვა სახელი და სიამაყე?
ვყავარ ასეთი მეგობარი!“ — ამბობდა ვირი.

დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს ცვლიდა და იგი
კვიცი
ლამაზდებოდა. აუმაღლდა კანჭებიც წვრილი.
— „რამხელა გახდა! ვირებს სახელს შეგვირცხვენს,
ვიცი!
რა გვეშველება?!! — გულმწუხარედ დარდობდა
ვირი.

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა

ნუგზარ ბაყაევი

## მზითევი

გაზარდეს ფუქსავატი,
ზერელე და ცერცეტა,
მისცეს, როგორც იტყვიან,
სრული თავისუფლება,

გარდა ჩაცმა-დახურვის,
არაფერს არ ეძებდა!..
— გათხოვების დროაო! —
დედ-მამას ეუბნება.

მამამ ხელად უყიდა
გოგოს ავტომანქანა.
— აი, მესმის მზითევი! —
ამბობს აღტაცებული



და საქმროს მოლოდინში
დადის და დაქაქანებს,
მაგრამ ვის რად სჭირდება
ცოლის ნაცვლად
„ჟიგული“?

## ვისაც ვისი ეშინია, მისთვის ლომიც ის არი!..

ეუბნება ლომს კურდღელი:
— მტერი ყველა მტერია,
ყურად იღე რჩევა ჩემი:
— მოერიდე მელიას!

## უსინდისობა და სინდისი

უსინდისობა სინდისზე
ამბობს:
— ჩვენა ვართ ძმები,
ტყუპისცალები!
სინდისი ამბობს: — ეგ რომ
არ იყოს,
ასე არავის არ ვეყვარები!..

ილია კავკაზაგი

# სირდონის სიმართლე

ოსური ფოლკლორის მიხედვით

ნართი სირდონი იყო ჭკვიანი,
ბრძენი და ქველი, მართალი ცამდე.
სირდონის სიტყვა ნაპერწკლიანი
ხმალივით ჭრიდა სიცრუის ბადეს.
ერთხელ სირდონმა საკრებულოში
წაიღო ხარის ვეება ტყავი,
დინჯად გადისვა ხელი ულვაშზე
და ხალხს მიმართა: „აბა, მითხარით,
ამოისხამდით ქალამანს რამდენს
საქალამნედ რომ მოეცათ თქვენთვის?
ნუ აჩქარდებით, დაფიქრდით, სცადეთ,
ბრძენი იქნება, ვინც ზუსტად მეტყვის!“
დაუწყეს სინჯვა, გამართეს დიდი
ბჭობა. „სიბრძნის“ ქვაბს მოხადეს ხუფი,
ერთმა თქვა — „რვაო“, მეორემ — „შვიდი“,
მესამემ — „ექვსი“, მეოთხემ — „ხუთი“.
მეხუთემ ტყავი გაზომა დინჯად,
„ოთხი გამოვა!“ — სიტყვა თქვა „ბრძენმა“.
მეექვსემ ტყავი სინჯა და სინჯა:
„სამი გამოვა, ღმერთი და რჯული!“
ზოგმა ხარის ტყავს ხელიც არ ახლო,
ზოგს მთლად გაუწყრა ხატიც და ღმერთიც:
„რის ქალამანი, გაგიჟდით, ხალხნო?!
არ გამოდნება მაგისგან ერთიც!“
მაშინ სირდონმა მოუხმო გლეხებს,
ტყავი გაშალა: „შედექით, მოდით!“
ტყავზე ცამეტი მოთავსდა ფეხი
და კიდევ დარჩა ორიოდ გოჯი.
ადგა, პირჯვარი გადაისახა,
ალაპარაკდა სირდონი ბრძენი:
„ხომ ხედავთ, როგორ გატყუებთ, ხალხო,
ეგ უმეცარი თვალი და ხელი?!
მუდამ გახსოვდეთ ანდერძი ჩემი:
უმეცარ ხალხთან არა ღირს ბჭობა,
ბრძენს უნდა ჰყავდეს გამგონე ბრძენი
და უნდა ჰქონდეს სიმართლის გრძნობა!
არეულ ხალხში სიმართლის ფასი
დაკარგულია, ჩალადაც არ ღირს,
ტვინის მაგივრად ქონი აქვთ თავში
და სიბრძნე მათთვის ყეფაა ძაღლის!
გახსოვდეთ: ქვეყნად უნდა იაროთ
მხოლოდ სიცხადით, მხოლოდ სინათლით! —
ეს ორი ფრთაა, ადამიანებს
რომ მიგვაქროლებს და გზას გვინათებს!“

თარგმნა ელდარ კერძევაძემ



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. გ. ლომიძისა

— ყურძნის წვენი გაქვთ?
— არა! ჩვენთან ალკოჰოლიანი სასმელები არ იყიდება!

## ტრიბუნა და ტრიფონი

დღეს, როცა ჩვენმა კრიტიკამ ძალუმად ფრთები გაშალა,
ტრიბუნა ნახა ტრიფონმა და სიტყვა გააშანშალა.
არ მოერიდა ტიტულებს, გაიჭრა, გადინადირა,
კარიერისტს და მექრთამეს — სუყველას ბდღვირი ადინა.

ჯერ მუქთახორა გაკიცხა — სხვისი ქონების მიმთვლელი,
ზარმაცი ჯვარზე გააკრა, მიწაში ჩადო მლიქვნელი.
ალარც ავყია დაინდო, ყელს ჩამოჰკიდა ბაწარი,
„ანონიმკების“ მჯღაბნელებს თვალში აყარა ნაცარი.

გაწკეპლა, გაამათრახა ტრაბახა, ცრუ და ორპირი,
ანტიპოდებთან ბრძოლაში კამარა შეკრა ორბივით.
მაინც რა არის ტრიბუნა! — თუკი ზედ ერთხელ აგიშვეს, —
ლაჩარს ვაჟკაცად გაგხდის და ბრიყვს შლეგზე უფრო გაგიჟებს!

გაჰკივის ჩვენი ტრიფონი: „ალალ-მართალი კაცი ვარ!“
თუმცაღა კარიერისთვის საკუთარ ძმასაც გაწირავს!
ინსტანციებშიც აგზავნის ხელმოუწერელ ბარათებს,
არც ფულის დათვლა ეშლება (ქრთამით ჯოჯოხეთს ანათებს!).

უცოდველ კაცს რომ ცილს სწამებს, არ დაფიქრდება იმ ფაქტით,
თვითონ განცხრომით ნებივრობს, სხვას კი დამართა ინფარქტი!..
მაგრამ რომ ჰკითხოთ, უმწიკვლო მხოლოდ ის ერთადერთია,
მიწაზე არ ჰყავს ბადალი, ცაში ჰყავს, — მხოლოდ ღმერთია.

თავის ღირსებას საქვეყნოდ გაჰყვირის რადიოსავით!..
სხვები სუყველა ქურდია, ტრიფონი — პატიოსანი!..
მაგრამ ვისაც სურს სიმართლე, მათ გასაგონად ვაცხადებთ:
არ დაუჯეროთ ასეთ კაცს, არც მომავალში, არცა — დღეს!

სად თქმულა, ეკლის მთესველმა სხვის ბაღში ვარდი კრიფოსა?!
არ გააკაროთ ტრიბუნას! სიტყვა არ მისცეთ ტრიფონსა!

**ალექსანდრე სამსონია**

## ნახევრად სერიოზული [illegible]

- **ვინც** ფიქრებში ხეტიალობს, მაჭანწალად არ ჩაითვლება.
- **შორს** წასვლამდე ჯერ ახლო მანძილზე უნდა დაეცე, რომ წამოდგომა ისწავლო!
- **უკვდავი** მხოლოდ ძვალია.
- **ვინც** თავის სურვილებს სულ ამუხრუჭებს, იმან, დიდი-დიდი, ავტომანქანის კარგად ტარება ისწავლოს.
- **ყველა** სიახლე სიძველე როდია.
- **სატანა** ბუნებით მედოლეა — თავის დაკრულზე გვაცეკვებს..
- **რამდენი** რამე არ უნდა იცოდე, რომ მცოდნედ ჩაგთვალონ.
- **თუ** ვინმეს ვბაძავ, მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ დავემსგავსო.
- **გემოვნება** და ბედი ერთ რამეში ჰგვანან ერთმანეთს: ზოგჯერ ორივე გვღალატობს.
- **სავსე** სუფრა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ შენ მშიერი არ დარჩები!
- **ვისაც** ეშინია, ისევ ის გადავიდეს შეტევაზე!
- **ცალი** ფეხი სამარეში თუ გიდგას, მეორეს ნეხვში ნუღარ ჩადგამ!
- **ვარვარებს?** — ესე იგი ჩემი ბედის ვარსკვლავი არ არის.
- **ველური** ადამიანი და კულტურული მცენარე! — რა მრავალფეროვნებაა!
- **წინ** ვერტიკალურად უნდა მიიწევდე და არა ჰორიზონტალურად!
- **ზედაპირი** გვაქვს, ვეძებთ სიღრმეებს.
- **სამართლიანობის** სასწორის თეფში სადილისთვის არ უნდა იხმარო!
- **ვიდრე** თითზე იკბენდე, კბილები გაიხეხე!
- **ვინც** ითმენს, ის კიდევ მოითმენს.
- **კასრი** თუ გაქვს, აუცილებელი როდია, რომ შიგ ჩაჯდე!
- **კეთილდღეობას** ინტერვალები უყვარს.
- **ხელები** ყველაზე კარგად სხვის დანთებულ ცეცხლზე თბება.
- **თავზე** დასმული შვილი კარგი მამა ვერ გახდება.
- **ისმენს** სხვაა, იჯერებს — სხვა.
- **თუ** სიზმარი გაღვიძებს, შენს ცხადს ჩაუღრმავდი!
- **ნაღდი** კალაპოტი ის არის, თავს რომ ვერ დააღწევ!
- **კანფეტი** რამდენიც გინდა, იმდენია, ბავშვები შემოგვაკლდა!
- **ომში** იმიტომ როდი მიდიან, რომ ხელები მაღლა ასწიონ.
- **ბედი** თუ კარზე მოგადგა, ნუ აღფრთოვანდები — იქნებ მოწყალებას გთხოვს?!
- **გზებზე** ძალიან ხომ არ მომრავლდნენ შავი კატები?
- **კედელ-კედელ** გზაზეც შეიძლება გახვიდე!
- **კენჭს** როგორადაც უნდა შეუწყო ხელი, ლოდი ვერ გახდება!
- **კვერცხი** ადრე გაჩნდა, ვიდრე ერბო-კვერცხი.
- **ისევ** შვილი სჯობია გეკიდოს ზურგზე, ვიდრე ცოდვა.
- **წიგნებს** აღარ კითხულობს? ესე იგი, თვითონ დაიწყო წერა.
- **ლამპიონი** მომავლის მზეობა არ არის.
- **ათასში** ერთხელ სიკვდილიც შეიძლება.
- **თუ** ალმაცერად გიყურებენ, უნდა მიხვდე, რომ ზედმეტი ხარ!
- **ვსვამ** და ვეწევი! მეტად როგორღა გავუფრთხილდე ჯანმრთელობას?
- **სიცილი** სხვაა, კბილების გამოჩენა — სხვა.
- **თუ** ნიშანში ამოგიღეს, არ შეგეშინდეს, ყველამ როდი იცის ზუსტი სროლა!
- **ამყოლი** ბევრია, გამყოლია ცოტა.
- **ქრთამი** ჯოჯოხეთის გასანათებლად აღარ კარგავს დროს.
- **თუ** სულელი ხარ, ჭკვიანად მაინც იყავი!
- **წიგნები** რომ წამძღვარებულ ანოტაციებს ამართლებდნენ, მაშინ რაღა უჭირდა მკითხველს.
- **ანსამბლი** შევქმენით, ვეძებთ მოცეკვავეებსა და მომღერლებს!
- **ბრძოლა** არსებობისთვის ყველაზე ხანგრძლივი ომია.
- **თუ** გაქრობენ, არ უნდა დაიჯერო, რომ ნავთქურა ხარ!

**გიგა მახვილაძე**




**აკაკი ნიკოლოზის ძე ჯობინაშვილი** — გურჯაანელი ტრაქტორისტი.

**ვაჟა კონსტანტინეს ძე ლურსმანაშვილი** — „საქმთავარენერგოს" გურჯაანის სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს მძღოლი.

თავი გამოიჩინეს იმით, რომ აღადგინეს და განაახლეს ძველი, მივიწყებული ხელობა — დინოზავრებზე ნადირობა.

თუ თანამედროვე ტექნიკურ დინოზავრზე ნადირობ, პირიქით უნდა მოიქცე; ტყეშიც რომ ცხოვრობდე, იქიდან რომელიმე დასახლებისაკენ უნდა წახვიდე! **აკაკიმ** და **ვაჟამ** ეს კარგად იცოდნენ და ამიტომ გურჯაანიდან უფრო დიდ ქალაქს — თბილისს მოაშურეს, გამბედაობას შეგვმატებსო, ჯერ ბლომ-ბლომად გადაყლურწეს და ხალისიანი შეძახილებით ნადირობა დაიწყეს. რაღა არ წამოუფრინდათ, მაგრამ ყურადღება არაფრისთვის მიუქცევიათ, სანამ თანამედროვე დინოზავრი — ექსკავატორი არ დაინახეს. თანამედროვე დინოზავრს ქვითა და ხელკეტით ვერ მოინადირებ, ხელობა უნდა გესმოდეს, ჰოდა, მძღოლსა და ტრაქტორისტს რაღა ესწავლებოდათ? — მაშინვე დაიურვეს დინოზავრ-ექსკავატორი და გურჯაანისკენ გზას გაუყენეს.

ლამპიონებით განათებული ქუჩის საათი ღამის თერთმეტს აჩვენებდა, როცა ისინი თბილისიდან გავიდნენ, დილით კი უკვე გურჯაანში იყვნენ და ნანადირევით თავს იწონებდნენ.

მონადირებული დინოზავრი რესტორან „ალაზანთან" იდგა, როცა მასზე თვალი დარჩა გურჯაანის სარემონტო-სამშენებლო უბნის მუშას **უშანგ თურმანის ძე ნადირაშვილს** და იღბლიანი მონადირეებისაგან იგი **2000 მანეთად** იყიდა!..

მონადირეებს ბრაკონიერობად ჩაეთვალათ დინოზავრზე ნადირობა და მყიდველსაც ჩამოერთვა ნაყიდი — უკანონოდ „მონადირებული" ექსკავატორი.

ამჟამად ქონებაკონფისკებულ **ა. ჯობინაშვილსა და ვ. ლურსმანაშვილს ბლომად დრო მისცეს (10-10 წელი), რომ ისხდნენ გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში და მოუთხრონ ერთმანეთს თავიანთი საგმირო თავგადასავალი. უ. ნადირაშვილი ორი წლით გამომწყვდეული გამოიტირებს თავის 2000 მანეთს.**

**ზაურ რომანის ძე დვალი** — თბილისის ასფალტის ქარხნის ზეინკალი.

თავი გამოიჩინა იმით, რომ ავჭალის რკინიგზის სადგურის ბაქანზე მოქალაქეთა თვალწინ ძლივს გაადამიანებულმა და ორ ფეხზე მოსიარულემ კვლავ ოთხ ფეხზე არჩია სიარული და პირდაპირ მხეცთა მოდგმაში გადაინაცვლა — ჯერ აგინა ომისა და შრომის ვეტერანს, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერს ევგენი ვასილის ძე მაჩაბელს და მის გამომსარჩლებლებს, მერე მივარდა, გამოსტაცა ჯოხი, წააქცია და უმოწყალოდ სცემა!.. გონწართმეული ე. მაჩაბელი საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

**მართლმსაჯულებამ ჯერ მიიჩნია, რომ 15 წელი დასჭირდებოდა ზ. დვალის ხელმეორედ გაადამიანებას, მაგრამ ეს ვადა 11 წლამდე შეამცირა იმის გათვალისწინებით, რომ მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში გაადამიანების პროცესი უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობსო.**

**თენგიზ ბიქტორის ძე დათიაშვილი** — კვალითის დასახლების მცხოვრები.

თანამემამულეებს თავი დაამახსოვრა იმით, რომ სამუდამოდ წაიცხო სახეზე მოუშორებელი სამარცხვინო ლაქა — კაცისმკვლელი გახდა!

ზესტაფონის რესტორან „ბუნების ნობათში" იგი ვახშამს მიირთმევდა, როცა მასთან რესტორნის ხაჭაპურის მცხობელი **ლ. შალამბერიძე** მივიდა. ეტყობოდა, მთვრალმა რესტორნის მუშაკმა სიტყვა ვერ მოზომა, **თ. დათიაშვილმაც** ძველი ამბები გაიხსენა და დანა ჩასცა ადამიანის მფეთქავ გულს!..

**ლ. შალამბერიძე** მეორე დღეს გარდაიცვალა, სამოქალაქო სიკვდილი ერგო **თ. დათიაშვილსაც — მკვლელს ყველა ღირსება აჰყარეს და თერთმეტი წლით მიაბრძანეს მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში.**

**ილია ბორისის ძე გიორგაძე** — ქ. თბილისის მცხოვრები.

ტექნიკურ დინოზავრებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ საიგაკებივით სწრაფ „ჟიგულებზე" კი ძალიან უყვარდა ნადირობა ჩვენს ილიას.

ჯერ მარტო ნადირობდა და რომ ეგონა, ეს არის, სწრაფი საიგაკი შიშველი ხელით დავიჭირეო, თვითონ ის დაიჭირეს. მეორედ 23 წლის ჭაბუკი გლდანში გავიდა სანადიროდ, ოღონდ მარტო აღარ — თან საჭურველთმტვირთველი **რაზიკ ფაშას ძე შამოევიც** ახლდა.

მაგრამ იმარჯვა მანქანის პატრონმა და ჩვენმა მონადირეებმა, რაკი „დიდსა ვერ ჰკლავდნენ", „ხოცვა ნადირთა მცირეთა" გამართეს — უცხოური მარკის მაგნიტოფონი მოიხელთეს.

მერე ტროას ცხენივით აჭიხვინდა მოპარული მაგნიტოფონი და პირდაპირ გლდანის მილიციის განყოფილებაში ამოჰყო თავი.

**გლდანში ნადირობისათვის ი. გიორგაძემ ხუთიანი მიიღო, რ. შამოევმა — ორიანი, უფრო ზუსტად — ორნახევარი.**

**ს. ხვამლელი**




— მთელი თავისი ცხოვრება კაბინეტში გაატარა და საამქროს ჰაერს ველარ იტანს!




ა ვ ე ლ ა ნ ჟ ი: — ბოდიში ბატონო, ლანჩხუთის „გურიის“ სტადიონზე ხომ ვერ მიმიყვანთ?

— როგორ არა, მისტერ აველანჟ, მაგრამ ერთი პირობით: გაისად თქვენ ლანჩხუთის „გურია“ უნდა მიიყვანოთ მარაკანას სტადიონზე!

ნახატები

ჯემალ ლოლუასი

№ 159
6-III 1987



დარტყმა!.. კიდევ დარტყმა!..

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ



საიმედოდ ჩაკეტა



მოცელა

# ასე ვქნათ აუცილებლად!

საფეხბურთო აუქციონს ყველგან გვერდი
ავუქციოთ!
მორიგებას, კორუფციას ბუდეები დავუქციოთ!
თავის ქებას დავუწიოთ, ოსტატობას ავუწიოთ!
მაყურებლებს სიხარული მწუხარებად არ
ვუქციოთ!

ქართულ ფეხბურთს, ლამაზ ფეხბურთს, ერთად
დავსხდეთ და ვუცქიროთ,
მის წინსვლას და ხვალინდელ დღეს აქვანი
დღეს დავურწიოთ!

**ნიანგი**



ცოცხალი
კედელი
აღმართეს

## უკანა ფეხით

სპორტული კომენტატორების გამოცდილებიდან

ვლადიმერ მასლაჩენკო (მ გ ზ ნ ე ბ ა რ ე დ): დიახ, თქვენ სწორი ხართ — ახლა გოლი იქნება! არა, გოლი არ არის! თქვენ არასწორი გამოდექით! თქვენ შენიშნეთ: უკანასკნელ მომენტში თავდამსხმელმა უკანა ფეხით, როგორც ჩვეულებრივ ვამბობთ ხოლმე ფეხბურთელები, ვაკე ადგილას წაიბორძიკა და მეკარეც, გიცხადებთ მთელი ჩემი კომპეტენტურობით, წინდაუხედავად გამოვიდა კარიდან, თუმცა ბურთი მაინც აიღო. ამაში უთუოდ ეს საშინელი კოკისპირული წვიმა დაეხმარა, თქვენს კომენტატორს რომ ასხამს თავზე და გუბე რომ შეუყენა მაგნიტოფონსაც, რომელშიც ორივე გუნდის მწვრთნელთა ინტერვიუების საინტერესო ჩანაწერები დევს.

თქვენ, მეგობრებო, მოხერხებულ სავარძლებში სხედხართ, თქვენს კომენტატორს, როგორც ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე ფეხბურთელები ასეთ შემთხვევებში, ა ლა გერ, კომ ალა გერ.

ვლადიმერ პერეტურინი (მ ს უ ბ უ ქ ი ი რ ო ნ ი ი თ): სიდოროვი ძმურად ეხება მსაჯს. არა, ამის გაკეთება არ ღირს! უცხოელი მსაჯები არავის აპატიებენ ასეთ „პოდკატს“. რა თქმა უნდა, არბიტრს ჯიბისაკენ მიაქვს ხელი!.. არა, ამას გაფრთხილება არ მოჰყოლია! შესაძლოა, მსაჯმა უბრალოდ გასინჯა, სიდოროვმა ჯიბეში ხომ არაფერი ჩამიდოო!.. მე კი პირდაპირ გული გადამიქანდა!.. ოხ, ეს მოულოდნელობებით აღსავსე ფეხბურთი!

ვ. ლეშჩინსკი
„ლიტერატურნაია გაზეტა“, 14. I. 87 წ.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 4 (1734), თებერვალი გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), შაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარ - რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე, (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 21. 01. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 02. 87 წ. ქაღალდის ზომა 60X90$^{1}/_{8}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14, შეკვ. 187, უე 04828 ტირაჟი 144.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

# ტრაგიკული სიმბოლო

**რუსმა მხატვარმა ვერეშჩაგინმა** გასული საუკუნის ომების აპოთეოზი ხარბი ყვავ-ყორნების მიერ დაკორტნილი ადამიანის თავის ქალებისაგან შემდგარ ბორცვში დაინახა.

ჩვენი თანამედროვის წარმოსახვაში დაიბადა თავისებური ვარიაცია ომის საწინააღმდეგო თემაზე: თავისუფლების ამერიკული ქანდაკება, გარშემორტყმული მირიადი ბირთვული ქობინით, ყოველ მათგანში განაბულია სიმძლავრე, რომელიც აღემატება გასული საუკუნის ყველა აფეთქების ძალას, ხოლო ერთდროულად ამოქმედებული ფოლადის ეს მონსტრები ჩვენს პლანეტაზე არავითარ სულიერს არ დატოვებენ და თერმობირთვული ომის აპოთეოზი დარჩება მემატიანის გარეშე.

მაგრამ რა შუაშია თავისუფლების ქანდაკება? ბირთვული არსენალები ხომ მარტო აშშ-ში არ არის? კი, ეს ასეა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, უწინ ვინ შექმნა ატომური ბომბი, პირველად ვინ გამოიყენა, ვინ უბიძგა მსოფლიოს უგუნური გამალებული შეიარაღებისაკენ, ვინ დაუკავშირა მას მსოფლიო ბატონობის ამბიციური პრეტენზიები, ოცნება — ძალით გადაეჭრა ისტორიული [illegible] ორ საზოგადოებრივ სისტემას შორის.

არცთუ დიდი ხნის წინათ საკმაოდ ცნობილი რიჩარდ პაიპსი, იმჟამად აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი, ამერიკის ხელმძღვანელობას ურჩევდა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის წამოეყენებინათ ულტიმატუმი: ან მშვიდობიანი შეცვლა საბჭოური სისტემისა, ან თერმობირთვული ომი!

მას შემდეგ სხვანაირი სიტყვებიც გვესმოდა და დღესაც გვესმის, რომ ომი სსრ კავშირის და აშშ-ს შორის გამორიცხულია, რადგან ბირთვულ კონფლიქტში არ შეიძლება იყვნენ გამარჯვებულნი.

თითქოსდა ყველაფერი ნათელია: ბირთვულმა საუკუნემ ზღვარი დაუდო პოლიტიკაში მუშტის უფლებამოსილებას, მაგრამ არა, ამერიკაში ბირთვული ომის ფანატიკოსები უწინდებურად ამბიციური ილუზიებით ცხოვრობენ — აიღონ ფორა მომაკვდინებელ შეიარაღებაში, უზრუნველყონ თავიანთთვის სამხედრო უპირატესობა, დაარტყან პირველებმა და თავიდან აიცილონ შურისგება.

ჟურნალი „ნოვოე ვრემია“, №36, 1986 წ.

